ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6/31

2022 წლის 6 ივნისი

ქ. ფოთი

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალისა და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 მარტის №6/10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის **საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შევსებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალისა და გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 მარტის №6/10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.111.016417) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

1. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, თანახმად დანართი №1-ისა.

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის და ანგარიშგების წესი, თანახმად დანართი №2-ისა.

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა, თანახმად დანართი №3-ისა.

4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირის „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციულ სამართალდაღვევათა ოქმის ჩამოწერის აქტის ფორმა, თანახმად დანართი №4-ისა.“.

2. დადგენილების პირველი მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით დამტკიცებული დანართი №1, დანართი №2, დანართი №3 და დანართი №4 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51^{3}, 53^{3}, 55-ე, 55^{2}, 55^{3}, 77^{1}, 77^{2} მუხლებით, 82^{5} მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 107^{4}

მუხლით, 114 მუხლის მე-6 ნაწილით, 119 მუხლით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125 მუხლით, 127 მუხლის მე-5 ნაწილით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 135-ე, 135^1 მუხლებით, 146^1 მუხლებით, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 150-ე, 150^1 მუხლებით, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით, 152-ე, 152^2, 153^4-ე, 156^1, 159-ე, 159^1 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, აღრიცხვის ჟურნალის წარმოება და სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარება უზრუნველყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულმა პირმა „ქალაქ ფოთის მუნიციპალურმა ინსპექციამ“ **(საიდენტიფიკაციო კოდი: 415112149).“.**

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**